ქალაქი თბილისი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა, №30 (ს/კ: 01.12.02.020.007) ერთსართულიანი შენობის რეაბილიტაციის, მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის კვლევა

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქალაქი თბილისი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა, №30 (ს/კ: 01.12.02.020.007) ერთსართულიანი შენობის რეაბილიტაციის, მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის კვლევა, კონსტრუქციული ნაწილი.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-85კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

სარეაბილიტაციო შენობა გეგმაში მარტივი კონფიგურაციისაა, შენობა ერთ სართულიანია. არ გააჩნია მიწისქვეშა სართული (სარდაფი).

ნაგებობის კონსტრუქციულ სისტემად ორივე მიმართულებით მიღებულია, რკინაბეტონის მონოლითური ჩარჩოები, გადახურვით, პემზაბეტონის წვრილი ბლოკების წყობის კედლების შემავსებლით.

ვიზუალური დათვალიერებისა და გამოკვლევის შედეგად დადგინდა, არსებული ერთსართულიანი შენობა, სამსართულიანი შენობისაგან გამოყოფილია სადეფორმაციო ნაკერით, არსებული კედელი დამოუკიდებელია **(სურ. №1.)**.

ფასადისა და შიდა ეზოს დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობის კედლებზე წარმოშობილია მცირე ჯდენითი ბზარები **(სურ. №2; სურ. №3. და სურ. №4)**.

მშენებელთან საუბრის შედეგად დადგინდა, რომ ერთსართულიანი შენობის საძირკველი მცირე ჩაღრმავებისაა, ამიტომ მომიჯნავე სამსართულიან და მრავალსართულიან შენობაზე, რეაბილიტაციის პერიოდში და შემდგომ ზეგავლენას ვერ მოახდენს. დასაშვებია მისი დაშლა და ახლის აშენება.



სურ. №1.



სურ. №2.



სურ. №3.



სურ. №4.



სურ. №5.

შიდა ეზოში არსებული შენობაც დასაშლელია **(სურ. №5.).**

მშენებარე მრავალსართულიან შენობის კონტურს, უმჯობესია კავშირი არ ქონდეს არსებულ მომოჯნავე შენობა-ნაგებობებთან.

დასკვნა: ამრიგად, ქალაქი თბილისი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა, №30 (ს/კ: 01.12.02.020.007) ერთსართულიანი შენობის რეაბილიტაციის, მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენის კვლევა, სამსართულიან და მრავალსართულიანი შენობის მზიდუნარიანობაზე და მდგრადობაზე უარყოფითად არ იმოქმედებს. ერთსართულიანი შენობის რეაბილიტაციას ეძლევა დადებითი შეფასება.

დამოუკ. ექსპერტი,
საინჟ. მეცნ. დოქტორი: **ჯ. ვაშაკიძე**
მობ. 593 28 34 58

04.11.2024

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – ,, სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 – 09).
- ✓ ,,საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“, დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.
- ✓ СНиП II-22-81* Каменные и Армокаменные Конструкций. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები).
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08).
- ✓ СП 13-102-2003 ,,ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”